



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა ა. ალადაშვილის სახელობის, 1880 წელს სამხედრო უწყებამ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცა შენობა, სადაც ფუნქციონირება დაიწყო „ალექსანდრეს საავადმყოფომ“. 1919 მას ეწოდა ქალაქის N2 საავადმყოფო, 1934 – სასწრაფო სამედიცინო დახმარების N2 კლინიკა. საავადმყოფო, 1988-იდან იგი საკუთრებაში გადაეცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს. 1992-იდან ეწოდა თსსუ-ის აკად. ა. ალადაშვილის სახ. N1 კლინიკა. 2009-14 თსსუ-ის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა, 2014-იდან – შპს „ა. ალადაშვილის სახ. კლინიკა“.

1941-იდან კლინიკის ბაზაზე განთავსდა თსსუ-ის სამკურნ. ფაკულტეტის ზოგადი ქირურგ. კათედრა, წლების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდნენ: 1941-47 – ე. ზაქარაია; 1947-67 – დ. იოსელიანი; 1967-79 – მ. ჩაჩავა; 1979-81 – გ. ბოჭორიშვილი; 1981-99 – გ. გონჭილაშვილი; 1999-იდან (2009-იდან – ზოგადი ქირურგ. მიმართულება) – თ. ჩხიკვაძე.

1921 კლინიკის ბაზაზე დაარსდა სამკურნ. ფაკულტეტის თერაპიის კათედრა, რ-საც სათავეში ედგა ა. ალადაშვილი (1921-50). სხვადასხვა დროს კლინიკას ხელმძღვანელობდნენ: ნ. ყიფშიძე (1950- 52), კ. ვირსალაძე (1952-54), თ. მამალაძე (1954-56), ვ. გერსამია (1956-57), მ. კანდელაკი (1957- 68), ს. კობალაძე (1968-71), ვ. ალადაშვილი (1971-86), გ. რცხილაძე (1986-95). 1995-2014 კერძო თერაპიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა ნ. ემუხვარი.

კლინიკური სტრუქტურაშია: კარდიოლოგიური, თერაპიული, ქირურგი. (სუფთა და ჩირქოვანი), ინტენსიური თერაპიის და ანესთეზიოლოგიარეანიმაციის განყოფილება, რ-ებიც აღჭურვილია თანამედროვე სამკურნალო სადიგნოსტიკო აპარატურით (ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპი, ექო- და დოპლეროკარდიოგრაფი, ექოსკანერები, თანამედროვე რენტგენოლოგიური აპარატურა და სხვ.). კარდიოლოგიური განყოფილება ჩართულია საერთაშორისო მულტიცენტრულ პროგრამაში HERO-2, რ-იც ითვალისწინებს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დაავადებულთა თრომბოლიზურ თერაპიას. ხდება გულის დიასტოლური დისფუნქციის შესწავლა და გულის იშემიური დაავადების პათოგენეზში Chlamidia Pneumoniae-ს როლის განსაზღვრა. მოქმედებს არითმიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის ცენტრი.

თერაპიულ განყოფილებაში მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული თერაპიული პათოლოგიის დაიგნოსტიკა და მკურნალობა, პერიოდული დაავადების და მასთან ასოცირებული სისტემურ-მემკვიდრული ამილოიდოზის შესწავლა. ქირურგი. განყოფილებაში, ტრადიციულად, დიდი ყურადღება ეთმობა ურგენტული ქირურგიის საკითხებს, არსებობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, სანაღვლე გზების პათოლოგიის, მსხვილი ნაწლავის სიმსივნის მკურნალობის დიდი გამოცდილება, დანერგილია ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის სხვადასხვა მეთოდი, თიაქარპლასტიკის ორიგინი. მეთოდი, გამოიყენება ლაზერული და პლამბური სკალპელი. მუშაობს მიკროქირურგი. სამსახური.

---